თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 2 დეკემბერი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ზურაბ ზამბახიძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ანდრო მარჯანიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ტერიტორიაზე (ყოფილი პიონერთა პარკი) სკეიტბორდის მოედნის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ზურაბ ზამბახიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ტერიტორიაზე (ყოფილი პიონერთა პარკი) სკეიტბორდის მოედნის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა. კომისიის წევრებმა: ზურაბ ზამბახიძემ და ანდრო მარჯანიშვილმა.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ტერიტორიაზე (ყოფილი პიონერთა პარკი) სკეიტბორდის მოედნის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2013 წლის 6 დეკემბერს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2013 წლის 6 დეკემბრის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

ზურაბ ზამბახიძე

კახაბერ დალაქიშვილი

ანდრო მარჯანიშვილი